ალპები

სავარჯიშოების კრებული

მოამზადა მაია ბლიაძემ

N1. გეოგრაფიული ამოცანა

ა. ის რვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ვრცელდება. მოგზაურებმა და მკვლევრებმა მის პატივსაცემად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მდებარე მსგავს ობიექტებს იგივე სახელი უწოდეს და ასე გაჩნდა რუკაზე მათი ავსტრალიელი, სამხრეთელი, იაპონელი და თუნდაც სიჩუანელი და ტრანსილვანიელი „სეხნიები“.

შეავსეთ ცხრილის ცარიელი გრაფები:

- დაასათაურეთ ცხრილის პირველ სვეტში ჩამოთვლილი ყველა გეოგრაფიული ობიექტი და დაწერეთ რა იმალება სიტყვის „ის“ მიღმა;
- ცხრილის მეორე სვეტში ჩამოწერეთ იმ თანამედროვე სახელმწიფოების სახელები, რომელთა ტერიტორიაზეც განთავსებულია ჩამოთვლილი ობიექტები;
- გაიხსენეთ ამ ობიექტების წარმოშობის თავისებურებები და ძირითადი მახასიათებლები და ცხრილის ბოლო სვეტში სწორად ჩაწერეთ რიცხვები: 2228, 2544, 3192, 3724, 4809, 7556 (7590). დაასათაურეთ ეს სვეტი და მიუთითეთ საზომი ერთეული.

ბ. მოიძიეთ ინფორმაცია და დაადგინეთ, კიდევ რომელი სხვა სახელით მოიხსენიებენ ხშირად სიჩუანისა და ტრანსილვანიის ალპებს?

_____	**სახელმწიფო**	_____ _____ _____ (____)
ის – _____ (დასახელება)	_____; _____; _____; _____; _____; _____; _____; _____	_____
ავსტრალიის	**ავსტრალია**	_____
სამხრეთის	_____	_____
იაპონიის	**იაპონია**	_____
სიჩუანის	_____	_____
ტრანსილვანიის	_____ _	_____

N2. გააანალიზე ალპებისა და კავკასიონის მთების შედარებითი ცხრილი და უპასუხე კითხვებს:

შედარებითი ცხრილი: ალპები და კავკასიონი

პარამეტრი	**ალპები (ევროპა)**	**კავკასიონი (საქართველო/კავკასია)**
მდებარეობა	დასავლეთი და ცენტრალური ევროპა	აღმოსავლეთ ევროპა და დასავლეთ აზია
უმაღლესი წერტილი	მონბლანი (4,808 მ)	შხარა (5,201 მ)
წარმოშობა	ალპური მთათაწარმოშობა, ტექტონიკური ზემოქმედება	კავკასიური მთათაწარმოშობა, კონტინენტების შეჯახება
კლიმატი	ზომიერიდან ნივალურამდე (მთის კლიმატი)	ზომიერიდან ნივალურამდე (მთის კლიმატი)
მცენარეულობა	ალპური მდელოები, წიწვოვანი ტყეები	სუბალპური ტყეები, ალპური ზონა
ტურიზმი	მაღალგანვითარებული, ზამთარი-ზაფხული	იზრდება; განსაკუთრებით ვითარდება სათხილამურო კურორტები
გლაციური ფორმები	ბევრი მყინვარი	ბევრი მყინვარი
ეკოლოგიური საფრთხეები	კლიმატის ცვლილება; ტურიზმის ზეწოლა	ტყეების გაჩეხვა; კლიმატის ცვლილება

კითხვები:

1. რომელი მთათა სისტემა უფრო მაღალია და რატომ გგონია ასე?

2. რა აქვს საერთო წარმოშობაში ამ ორ მთათა სისტემას?

3. როგორი კლიმატია ორივე რეგიონში? როგორ ფიქრობ, რა როლს ასრულებს ეს მთები რეგიონის კლიმატის ფორმირებაში?

4. რა საფრთხეები ემუქრება ალპებს და კავკასიონს? როგორ შეიძლება მათი დაცვა?

5. გინდა, ესტუმრო რომელიმე მათგანს? რატომ?

6. რომელი მთათა სისტემის ტურისტული განვითარება გგონია უფრო დაბალანსებული ბუნებასთან?

N3. ექსპედიცია ალპებში - 2050

წარმოიდგინე, რომ ხარ მეცნიერი ან მოგზაური, რომელიც 2050 წელს ალპებში მიდის კვლევითი მისიით. შენი მიზანია, შეისწავლო თუ როგორ შეიცვალა კლიმატის ცვლილების შედეგად ალპები.

მოამზადე:

- ✓ მოგზაურობის დღიური
- ✓ მოგზაურობის მარშრუტი და რუკა

მოგზაურობის დღიურში აღწერე ცვლილებები, რომლებიც შენიშნე: ყინულების დნობა, მცენარეების შეცვლა, ტურიზმის პრობლემები და ა.შ..

N4. დახატე ალპების ხმა

შეარჩიე ალპების რომელიმე ადგილი (მაგ.: შამონი, მატერჰორნი, იუნგფრაუ) და წარმოიდგინე, როგორი იქნებოდა მისი ხმა, სუნი და ფერები. დახატე ან შექმენი კოლაჟი შემდეგი თემით:

"ალპებს რომ ლაპარაკი შეეძლოს, რას გვეტყოდა?"

- ✓ დახატე მათ ხმაში გამოხატული გზავნილი;
- ✓ მიამატე ტექსტიც, როგორც კომენტარი: რას გვიყვება მთები?

N5. შექმენი პოსტერი „დაიცავი ალპების სილამაზე“

შექმენი სარეკლამო პოსტერის მსგავსი ნამუშევარი, რომელიც მოუწოდებს ტურისტებს, დაიცვან ალპების ეკოსისტემა.

შეარჩიე სლოგანი (მაგალითად: „ნუ დატოვებ კვალს თოვლზე!“) და გამოიყენე ვიზუალური ელემენტები (ხატვა, ფოტოკოლაჟი, Canva).

პოსტერის ნიმუში:



N6. გზამკვლევი მოგზაურებისთვის „10 რამ, რაც უნდა იცოდე, სანამ ალპებში წახვალ!“

შეადგინე გიდის რჩევების პატარა ბუკლეტი, სახელწოდებით:

„10 რამ, რაც უნდა იცოდე, სანამ ალპებში წახვალ!“

გზამკვლევში შეიტანე შემდეგი ინფორმაცია:

- ✓ გეოგრაფიული საინტერესო ფაქტები
- ✓ ბუნებრივი საფრთხეები
- ✓ ეკოლოგიური წესები
- ✓ ადგილობრივი ტრადიციები და საკვები

პასუხი

N1. გეოგრაფიული ამოცანა.

ა.

მთები/მთიანი ქვეყნები/მთათა სისტემები, ქედები და სხვ.	**სახელმწიფო**	***უმაღლესი მწვერვალის სიმაღლე (მ)***
ისინი –ალპები	*ავსტრია* *გერმანია* *იტალია* *ლიხტენშტეინი* *მონაკო* სლოვენია საფრანგეთი შვეიცარია	4809
ავსტრალიის	ავსტრალია	2228
სამხრეთის	*ახალი ზელანდია*	3724
იაპონიის	იაპონია	3192
სიჩუანის	*ჩინეთი*	7556 (7590)

ტრანსილვანიის	*რუმინეთი*	2544

ბ. სიჩუანის - სინო-ტიბეტის მთები

ტრანსილვანიის - სამხრეთი კარპატები